

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ თაყნიაშვილი

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია

/ მეთოდური რეკომენდაციები /

თბილისი
2010

თაყნაშვილი, გურამ

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია:
მეთოდური რეკომენდაციები / საქ. პარლ. ეროვნული
ბიბ-კა, რედ. ლ. კაკულია – თბ., 2010.– 25 გვ.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის ზოგადი და კერძო მეთოდის საკითხები. ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკაში დოკუმენტების სისტემატიზაციის ხარისხზე დამოკიდებულია ფონდების შინაარსის გახსნა, ელექტრონულ და სისტემატურ კატალოგებში მისი მრავალმხრივი წარმოდგენა. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მრავალმხრივი შესაძლებლობა საშუალებას იძლევა ნებისმიერი საბიბლიოთეკო დოკუმენტის შინაარსი ასახოს საცნობარო აპარატში ბიბლიოთეკის პროფილისა და მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ნაშრომი, როგორც დამხმარე მასალა, გამოადგება კლასიფიკატორებს, ბიბლიოთეკარებს, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური განათლება და გამოცდილება. ავტორი მადლიერებით მიიღებს საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს.

ISBN: 978-9941-0-3059-8

ექტრონული მისამართი:

www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000736

წინასიტყვაობა

საბიბლიოთეკო ფონდები, რომლებიც სხვადასხვა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებშია დაცული, გარკვეული წესითაა ორგანიზებული. ბიბლიოთეკა თავისთავად ორგანიზებული ცოდნაა; ეს იმას ნიშნავს, რომ ცოდნა, რომელიც ცალკეულ დოკუმენტშია წარმოდგენილი, მთლიანობაში აისახება საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთობლიობაში. თანამედროვე ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო დოკუმენტები წარმოდგენილია წიგნების, პერიოდული და გრძელდებიანი გამოცემებისა და ელექტრონული სახით. თითოეული ბიბლიოთეკის ამოცანას შეადგენს საბიბლიოთეკო ფონდების ისეთი წესით დაცვა და ორგანიზება, რომ თითოეული სახის დოკუმენტში ჩამოყალიბებული ცოდნა, ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს მკითხველისათვის. მკითხველი, ინფორმაციის მომხმარებელი, ინფორმაციას ეძებს საკუთარი მიზნებისათვის – სასწავლო თუ სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად. ბიბლიოთეკები საცნობარო აპარატის საშუალებით მკითხველებს აცნობენ საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსს. ამ მიზანს ემსახურება ბიბლიოთეკებში ორგანიზებული რეალური კატალოგები: საგნობრივი, სისტემატური და ელექტრონული. ამ უკანასკნელის პრაქტიკაში შემოსვლამდე საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსს ყოველმხრივ ხსნიდა სისტემატური და საგნობრივი კატალოგები. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც შედგა ყოველმხრივ გამართული ელექტრონული კატალოგები, დაბალია აქ მითითებული ორივე რეალური კატალოგის გამოყენების მაჩვენებელი.

ცნობილია, რომ ელექტრონული კატალოგი ითავსებს სამივე სახის (ანბანური, სისტემატური, საგნობრივი) კატალოგების ფუნქციას. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ელექტრონული კატალოგი წარმოადგენს საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსის გახსნისა და ხელმისაწვდომობის უნივერსალურ და ოპერატიულ საშუალებას. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციას (კლასიფიკაციას) დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველთა თემატური, საგნობრივი, დარგობრივი ინფორმირებისათვის სისტემატური და ელექტრონული კატალოგების საშუალებით. ამ ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო დოკუმენტების კლასიფიცირება, მათი შინაარსის ზედმიწევნით დეტალური გახსნა, ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა მკითხველთა კვალიფიციური მომსახურებისათვის.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების მეცნიერული დამუშავება გულისხმობს მასში განხილული საგნის, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ყოველმხრივ ასახვას ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ბიბლიოთეკაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ელექტრონული საშუალებები, წიგნი მაინც რჩება და ყოველთვის დარჩება მეცნიერული ცოდნის დაუფლების ძირითად საშუალებად. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკის კატალოგებში დიდი მნიშვნელობა აქვს

ფონდების საბიბლიოთეკო წესით დამუშავებასა და მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა ასპექტით ასახვას. საქართველოში დღეისათვის მოქმედი ბიბლიოთეკების აბსოლუტურ უმრავლესობას გააჩნია სისტემატური კატალოგი. ის წარმატებით გამოიყენება უნივერსალურ სამეცნიერო და დარგობრივ ბიბლიოთეკებში, მუნიციპალიტეტის მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკებში. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც შექმნეს ელექტრონული კატალოგები, დღეისათვის შეინარჩუნეს ტრადიციული სისტემატური კატალოგიც. აქ მხედველობაში იქნა მიღებული მკითხველთა ცალკეული ჯგუფების ინტერესი, მათი დამოკიდებულება კომპიუტერულ ტექნიკასთან. საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსის გახსნა და ხელმისაწვდომობა საცნობარო აპარატში მრავალმხრივ საკითხს მოიცავს, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ბიბლიოთეკარმა, სისტემატიზატორმა. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის საკითხებზე ქართულ ენაზე არც თუ მდიდარი ლიტერატურა მოიპოვება (წყაროების დასახელება ნაშრომის ბოლოს).

სისტემატიზაციის პროცესი დინამიური, ღრმად პროფესიული პროცესია. ამიტომ ამ სფეროში სიახლეების გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა ბიბლიოთეკარისგან საკუთარი ცოდნის სისტემატურ სრულყოფას მოითხოვს. მეორე გარემოება, რამაც განაპირობა წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელოს შედგენა, საბიბლიოთეკო პრაქტიკაში არსებული მდგომარეობაა. დღეისათვის ბიბლიოთეკებში გამოცდილი სისტემატიზატორები მოღვაწეობენ. ისინი მარჯვედ იყენებენ საკლასიფიკაციო ცხრილებს და აკადემიურ დონეზე აგებენ სისტემატურ კატალოგებს. აქვე მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ეტაპზე როგორც ცენტრალურ, ასევე სამეცნიერო ბიბლიოთეკებში სამუშაოდ მოვიდნენ ახალი კადრები, უმაღლესი ზოგადი განათლებით. სისტემატიზაციის პროცესის წარმართვა მათ მიერ მოითხოვს არსებული მდგომარეობისა და სპეციფიკის გაცნობას, მეცნიერების სტრუქტურაში გარკვევას. ელექტრონული კატალოგი საშუალებას იძლევა ინფორმაციის მოძიება ჩატარდეს მრავალი ასპექტით: თემატური, საგნობრივი, დარგობრივი, საკლასიფიკაციო ინდექსების გამოყენებით და სხვ. საშუალებებით, რაც ზედმიწევნით ხელმისაწვდომს ხდის საბიბლიოთეკო დოკუმენტებს.

კლასიფიკაციის მეთოდიკა გულისხმობს საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსის მრავალმხრივ ასახვას საცნობარო აპარატში. ამ პროცესის გონივრული და პროფესიული წარმართვა ბიბლიოთეკარისგან მოითხოვს როგორც ზოგად, ასევე სპეციალურ განათლებას, იმ წესებისა და მეთოდების დაუფლებას, რომლებიც აუცილებელია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ყოველმხრივ დამუშავებისათვის.

1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის არსი და პრინციპები

სისტემატიზაცია შეიძლება გავიგოთ, როგორც სხვადასხვა ნაწილებს შორის არსებული კავშირები და მიმართებები, რომლებიც მთლიანობაში ქმნის ორგანულ გაერთიანებას. სისტემატიზაციის არსი ბიბლიოთეკებში გულისხმობს მოწესრიგებულ ცოდნას, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საბიბლიოთეკო დოკუმენტებში. ბიბლიოთეკებში შესრულებული

სისტემატიზაციის პროცესის ამოცანას შეადგენს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ასახვა საცნობარო აპარატში, მათი შინაარსისა და ფორმალური ნიშნების გამოყენებით. მეცნიერების სხვადასხვა დარგებში მიმდინარე სისტემატიზაციის პროცესისგან განსხვავებით, ბიბლიოთეკებში ჩატარებული სისტემატიზაცია გულისხმობს წიგნისა და სხვა სახის მასალების შინაარსის გამოხატვას საკლასიფიკაციო ინდექსების საშუალებით. სისტემატიზაციის ობიექტს შეადგენს წიგნი, სხვა სახის ბეჭდური, ან ელექტრონული სახით გამოცემული დოკუმენტი. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპია სისტემატიზაციის პროცესის შესრულება უშუალოდ საბიბლიოთეკო დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, ანუ სისტემატიზაცია ხილვით, *de visu*. შეუძლებელია სისტემატიზაციის შესრულება წიგნის გარეშე, მეორად ინფორმაციაზე დაყრდნობით.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია, ანუ კლასიფიკაცია გულისხმობს ოთხი აუცილებელი ელემენტის სახეზე არსებობას:

1. კლასიფიკაციის ობიექტი: წიგნი, მისი ნაწილი და სხვა სახის გამოცემა, ელექტრონული გამოცემები;
2. კლასიფიკაციის სახელმძღვანელო, საკლასიფიკაციო „იარაღი“; ?
3. ბიბლიოთეკარი – კლასიფიკატორი, სპეციალისტი, ინდექსატორი;
4. მკითხველი, მკითხველთა ჯგუფი, რომელთა ინტერესი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კლასიფიკაციის პროცესში.

კლასიფიკაციის სახელმძღვანელო

საქართველოს ბიბლიოთეკებში ამჟამად გამოიყენება უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემა (უაკ). ეს სისტემა გამოიყენება მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში. მისი დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების ყველა დარგი, საკითხი, საგანი შეიძლება ავსახოთ საცნობარო აპარატში არაბული ციფრების გამოყენებით, რაც გასაგებია მსოფლიოში ყველა ენაზე მოლაპარაკე მომხმარებლისათვის. მეორე დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ უაკ–ში მიღებული ათწილადი დაყოფის პრინციპი საშუალებას იძლევა მეცნიერების ყველა დარგი მისი სტრუქტურით, ქვედარგებითა და ქვეთემებით ასახულ იქნეს კატალოგებში საკლასიფიკაციო ცხრილებში მიღებული ინდექსაციის გამოყენებით; ე.ი. ეს სისტემა არის უნივერსალური. მასში შეიძლება აისახოს როგორც დიდი ხნის წინათ მეცნიერების სახით ჩამოყალიბებული მოძღვრება, ასევე თანამედროვე ეტაპზე წარმოდგენილი ახალი მეცნიერებანი. საკლასიფიკაციო სისტემის 9 განყოფილება (მე-4 განყოფილება შეუერთდა მე-8 განყოფილებას), მათი ქვედანაყოფებით საშუალებას გვაძლევს საკლასიფიკაციო ინდექსების საშუალებით გამოვხატოთ მისი შინაარსი.

ქართულ ენაზე უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ბოლოდროინდელი გამოცემებიდან შეიძლება დავასახელოთ „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის“ (თბ., 1998). ამ ცხრილების გამოყენებით საქართველოს საჯარო (მასობრივი) და სასკოლო ბიბლიოთეკები გადავიდნენ საბჭოთა საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის (ბბკ–ს) სისტემიდან უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სისტემაზე. მეორე სახელმძღვანელო უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციისა გამოსცა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ (თბ., 2009). ეს უკანასკნელი წარმატებით გამოიყენება როგორც საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებში, ასევე სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტებსა და სპეციალურ ბიბლიოთეკებში. უაკ–ის უფრო სრული გამოცემა არსებობს რუსულ ენაზე (მე-5 გამოცემა), რომლის სამუშაო ვერსიას

გამოიყენებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ გამოცემული უაკ–ის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემა დაიბეჭდა მცირე ტირაჟით. ამჟამად წარმოებს მეორე შევსებული გამოცემის მომზადება.

საკლასიფიკაციო ცხრილების გამოყენება სისტემატიზაციის პროცესში პირველ რიგში მოითხოვს ცხრილების სტრუქტურის გაცნობას. საკლასიფიკაციო ცხრილები ძირითადად შედგება სამი ნაწილისგან: მეთოდური მითითებები, მსაზღვრელების ცხრილები, ძირითადი ცხრილები, ანუ 9 განყოფილების ინდექსები წარმოდგენილი თავისი ქვედანაყოფებით, და მესამე ნაწილი – ანბანურ-საგნობრივი საძიებელი. საძიებლის დანიშნულებას შეადგენს სასურველი რუბრიკის, თემის, საკითხის, დარგის დაძებნა და შესაბამისი ინდექსის დაზუსტება. საგნები და თემები საძიებელში განლაგებულია ანბანურ რიგზე. ცხრილების სტრუქტურა მარტივია. სისტემატიზატორმა, თუ იგი ამ პროცესს პირველად ასრულებს, გულდასმით უნდა შეისწავლოს სახელმძღვანელო, რათა დიდი დრო არ დაკარგოს შესაბამისი ინდექსის დადგენაზე.

სისტემატიზაციის ხარისხი, სისტემატურ კატალოგსა და ელექტრონულ კატალოგში დოკუმენტის მრავალმხრივი ასახვის დონე ბევრადაა დამოკიდებული კლასიფიკატორზე, მის პროფესიონალიზმსა და ერუდიციაზე. კლასიფიკატორი უნდა ერკვეოდეს მეცნიერების სისტემებში, ცალკეული მეცნიერული დისციპლინების სტრუქტურებში.

როგორც აღვნიშნეთ, კლასიფიკატორს ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს მკითხველის ინტერესი, მისი სპეციფიკა, ბიბლიოთეკის პროფილი, რათა მიიღოს სწორი საკლასიფიკაციო გადაწყვეტილება. მკითხველის ინტერესის გათვალისწინება გულისხმობს ბიბლიოთეკის მკითხველთა ძირითადი სოციალური ჯგუფების საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მოთხოვნების ცოდნას. ასეთი ცოდნა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს კლასიფიკაციის ხარისხზე, ინდექსების სისრულეზე. იმ ბიბლიოთეკაში, სადაც ფონდის დიდი ნაწილი წარმოდგენილია მხატვრული ლიტერატურის სახით, ცხადია ფონდის დარგობრივი შემადგენლობა საცნობარო აპარატში აისახება მარტივი ინდექსების გამოყენებით. მაგალითად, საბიბლიოთეკო დოკუმენტები პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის შესახებ საჯარო სკოლებისა და რაიონებში მოქმედ სასოფლო ბიბლიოთეკებში შეიძლება გამოიხატოს მარტივი ინდექსით 32. თუ დროთა განმავლობაში ეს განყოფილება შეივსება ახლად გამოცემული დოკუმენტებით, შეიძლება ინდექსები გაფართოვდეს მარჯვნივ ქვეგანყოფილებების, ან მსაზღვრელების მიწერით: 32 (479.22) – პოლიტოლოგია, როგორც მეცნიერება საქართველოში; 323 (479.22) – საქართველოს საშინაო პოლიტიკა და ა. შ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდექსების გამოყენების სისრულე დამოკიდებულია ბიბლიოთეკის ფონდის მოცულობაზე, მის პროფილზე.

საკლასიფიკაციო ცხრილები საშუალებას იძლევა ავირჩიოთ მარტივი ან რთული ინდექსი, შედგენილი ინდექსი, ყველაფერი დამოკიდებულია საბიბლიოთეკო დოკუმენტის შინაარსზე და მის დანიშნულებაზე. საკლასიფიკაციო ცხრილების წინასწარი გაცნობა აუცილებელი პირობაა კლასიფიკაციის პროცესის აკადემიურ დონეზე წარმართვისათვის. გამოცდილი კლასიფიკატორები ოპერატიულად იღებენ საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებას. ბევრმა მათგანმა ზეპირად იცის ამა თუ იმ თემის, საკითხის შესაბამისი საკლასიფიკაციო ინდექსი. სისტემატიზაციის პრინციპებიდან უნდა გამოიყოს სამი ძირითადი პრინციპი:

1. საკლასიფიკაციო ცხრილის, სახელმძღვანელოს სტრუქტურისა და მისი გამოყენების ცოდნა;
2. საკლასიფიკაციო ობიექტის – საბიბლიოთეკო დოკუმენტის სახეზე არსებობა;
3. მკითხველთა ძირითადი სოციალური ჯგუფების ინტერესის გათვალისწინება.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების კლასიფიკაციის პროცესი აერთიანებს ზოგად და კერძო მეთოდებს.

2. კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდება

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილებს გააჩნია გასაგები, მარტივი და დახვეწილი სტრუქტურა. იგი საშუალებას იძლევა ინდექსების კომბინირებით (გავრცობით, შემოკლებით) ზუსტად გამოვხატოთ საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსი. საკლასიფიკაციო ცხრილების სხვადასხვა მოცულობით გამოცემა და ყოველწლიურად ჩამატებების გამოქვეყნება ბიბლიოთეკებს საშუალებას აძლევს ცხრილები გამოიყენონ პროფილის ზუსტად გათვალისწინებით. უაკ-ის ღირებულება? იმაში მდგომარეობს, რომ იგი ატარებს ინტერნაციონალურ ხასიათს და დამოუკიდებელია ენობრივი თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნისა და სხვა სახის დოკუმენტების შინაარსის გამოხატვა შესაძლებელია არაბული ციფრებით. ეს საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკებსა და საინფორმაციო ორგანოებს ცხრილები წარმატებით გამოიყენონ ინფორმაციის საერთაშორისო მიებისა და გაცვლისათვის. უაკ-ის ცხრილებს საშუალება აქვს საძიებო სისტემებში გამართულად, ოპერატიულად და ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით წარმოადგინოს ამა თუ იმ მეცნიერების სტრუქტურა.

უაკ-ი წარმატებით გამოიყენება საბიბლიოთეკო დოკუმენტების თაროებზე განლაგებისათვის, თემატური ბიბლიოგრაფიული საძიებლების შედგენასა და კარტოთეკების ორგანიზებაში. ასეთ შემთხვევაში წარმატებით გამოიყენება უაკ-ის შემოკლებული ცხრილები. თაროებზე ფონდების განლაგებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცხრილების შემოკლებული ვარიანტები. ასეთ შემთხვევაში თაროებზე ერთად იყრის თავს ერთი დარგის გამოცემები, მათი გამოცემის ფორმის მიუხედავად. სისტემატურ და ელექტრონულ კატალოგში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ინდექსების დეტალიზაცია, რათა მკითხველმა კონკრეტული ინფორმაცია მიიღოს მისთვის საინტერესო საკითხებზე.

კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდება აერთიანებს პროცესის ხერხებს, მეთოდებსა და პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელი და აუცილებელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციისათვის. ბიბლიოთეკაში ორგანიზებული დოკუმენტები, ტრადიციული და ელექტრონული ფორმით გამოცემული, თავიანთი შინაარსით განეკუთვნებიან მეცნიერების ამა თუ იმ დარგს. კლასიფიკაციის პროცესი ორი ძირითადი ეტაპისაგან შედგება:

1. წიგნისა და სხვა სახის გამოცემების შინაარსის გაცნობა, მისი ანალიზი;
2. საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღება.

დოკუმენტის შინაარსის გაცნობა, მისი ძირითადი საგნის დადგენა სისტემატიზატორმა უნდა განსაზღვროს წიგნის ბიბლიოგრაფიული გადათვალისწინების, ბიბლიოგრაფიული კითხვის საშუალებით. ცხადია, მთლიანი

ტექსტის კითხვა არ არის მიზანშეწონილი. სისტემატიზატორი პირველ რიგში ეცნობა წიგნის თავფურცელს, სადაც, ბევრ შემთხვევაში, წიგნის სათაური ხსნის მის შინაარსს და მიგვანიშნებს, თუ რა თემაზეა, რა საკითხზეა წიგნი შედგენილი. ხშირ შემთხვევაში თავფურცელი არ არის საკმარისი წიგნის თემის განსაზღვრისათვის. ასეთ შემთხვევაში სისტემატიზატორი ეცნობა წიგნის სხვა ნაწილებს: თავფურცელის მეორე მხარეს, წიგნის სარჩევს (შინაარსს), წინასიტყვაობას, სარედაქციო წერილს, ბოლოსიტყვაობას და სხვა სახის წიგნზე დართულ მასალებს. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე გამომცემლობების მიერ ზოგიერთი გამოცემის პოლიგრაფიულ გაფორმებას, ვნახავთ, რომ ხშირ შემთხვევაში დარღვეულია საგამომცემლო სტანდარტი: ავტორი არ არის მითითებული თავის ადგილზე, წიგნს არა აქვს სარჩევი, წინასიტყვაობა, უცნობია გამოცემის წელი და ა. შ. ეს ქმნის ხელოვნურ სიძნელეებს კლასიფიკაციის პროცესში და სისტემატიზატორი იძულებულია წაიკითხოს წიგნის ძირითადი ტექსტის ნაწილი, ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული ცნობა დააზუსტოს წიგნის გარე არსებული წყაროების გამოყენებით. როგორც ვხედავთ, წიგნისა და სხვა სახის მასალის ძირითადი საგნის დადგენა ყოველ შემთხვევაში არ არის ადვილი და ოპერატიულად გადასაწყვეტი. ყველაფერი დამოკიდებულია წიგნის საგამომცემლო გაფორმებაზე, სათაურის სიზუსტესა და იმ ნაწილების თანმიმდევრულ განლაგებაზე, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით აზუსტებენ წიგნის შინაარსს.

წიგნის შინაარსის გაცნობის შემდეგ საჭიროა მისი გამოსახვა ინდექსის საშუალებით, ანუ საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღება. როდესაც წიგნი ერთ რომელიმე კონკრეტულ საკითხს შეეხება და საგნის განხილვაც მარტივად არის წარმოდგენილი, ადვილია მისი შინაარსის გამოსახვა ინდექსებით. საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს წიგნმა თაროზე (სისტემატურ-ანბანური განლაგების შემთხვევაში) და სად უნდა ჩაირთოს წიგნის აღწერილობა სისტემატურ კატალოგში. ინდექსაცია ბევრ შემთხვევაში ერთგვარია ელექტრონული კატალოგებისათვის და შიფრისათვის.?? ეს უკანასკნელი გვიჩვენებს წიგნის ადგილსამყოფელს თაროზე. როდესაც კლასიფიკატორმა განსაზღვრა წიგნის ძირითადი შინაარსი და დააზუსტა მისი საგანი, საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია გაეცნოს წიგნში განხილული საგნის ფორმას, მასალის კონსტრუქციას, პერიოდს, რომელსაც ეხება წიგნის შინაარსი და ა. შ. ანუ ამ პროცესს უწოდებენ მასალის ასახვის ასპექტს. ამ ეტაპზე სისტემატიზატორმა უნდა გაარკვიოს წიგნში განხილული საგნის მიმართება სხვა საგნებთან, მომიჯნავე მეცნიერულ დისციპლინებთან. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს ერთი საკითხის განხილვასთან სხვადასხვა თვალსაზრისით, მეორე საგანთან მიმართებაში და ა. შ. დაადგენს რა წიგნის ძირითად საგანს, სისტემატიზატორი აზუსტებს საგნის განხილვის გეოგრაფიულ გარემოს, ადგილს, რომელსაც ეხება წიგნის საგანი. ამის შემდეგ შეიძლება დაზუსტდეს განხილული საგნის პერიოდი, დრო, თუ რომელ საუკუნეებს ეხება განხილული საგანი. ხშირ შემთხვევაში წიგნში განხილულია ორი ან მეტი საკითხი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. წიგნის საგნისა და მისი სხვა საგნებთან მიმართებების დადგენის შემდეგ კლასიფიკატორი აზუსტებს წიგნის გამოცემის ფორმას – სახელმძღვანელო, ცნობარი, გზამკვლევი და ა. შ.

უაკ-ის ცხრილები საშუალებას იძლევა ციფრების ენით გამოისახოს როგორც წიგნის ძირითადი საგანი, ასევე მისი განხილვის სხვადასხვა ასპექტი = დრო, გამოცემის ფორმა, გეოგრაფიული ადგილი, განხილული საგნის მიმართება სხვა საგანთან და ა. შ. ასეთი ასპექტების გამოსახატავად ცხრილებში გამოყენებულია

მსაზღვრელების (დეტერმინატების) სისტემა. უაკ-ის ცხრილებს თავისუფლად შეუძლია ასეთი მრავალსახეობის გამოხატვა ინდექსების საშუალებით. უაკ-ის ცხრილებით შესაძლებელია გაციფრებული დოკუმენტების სისტემატიზაცია მათი აღწერილობების წარმოდგენით მონაცემთა ბაზებსა და კატალოგებში. ასეთი თვისებით უაკ-ი ყოველგვარი არსებითი ცვლილებების გარეშე გამოიყენება ელექტრონულ კატალოგებში. ტრადიციული სისტემატური კატალოგისაგან განსხვავებით, ელექტრონულ კატალოგში შეიძლება ჩატარდეს ძიება რთული ინდექსიდან ერთი რომელიმე მისი ნაწილის გამოყენებით. ცხრილების ასეთი მაქსიმალური შესაძლებლობები წინასწარ უნდა განსაზღვროს, გამოიყენოს სისტემატიზატორმა. თაროებზე დოკუმენტების განლაგებისას, ინდექსების გამსხვილებას შესაძლებელია მიმართონ მცირე მოცულობის ბიბლიოთეკებმა, სადაც ფონდის ძირითად ნაწილთან შესაძლებელია მკითხველები იქნენ დაშვებული, ე. წ. ღია თაროს ფორმა. სრული ანუ დეტალიზებული ინდექსების გამოყენება თაროზე განლაგებისას ერთგვარ უხერხულობას ქმნის გამყოფების გამოყენების კუთხით. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში მეტწილად მიღებულია ფონდების ფორმატულ-ინვენტარული განლაგების ფორმა. ამდენად დოკუმენტის შინაარსის მრავალგვარი ასახვა გათვალისწინებული უნდა იყოს სისტემატური და ელექტრონული კატალოგებისათვის.

უაკ-ის, როგორც უნივერსალური საკლასიფიკაციო ცხრილის გამოყენებით შესაძლებელია საინფორმაციო რესურსების სისტემატიზაცია ინტერნეტში. ეს პროცესი უაკ-ს წარმოგვიდგენს როგორც ცოდნის სისტემატიზაციის იარაღსა? და საშუალებას. ასეთი მიდგომით სისტემატიზატორმა უნდა გაითვალისწინოს წიგნის საგნის ასახვის ფორმა და აღწერილობის სიზუსტე სისტემატური კატალოგებისათვის ცალკე და ელექტრონული კატალოგებისათვის ცალკე. ელექტრონულ კატალოგში გამოყენებული დეტალური ინდექსაცია შესაძლებელია ტრადიციულ სისტემატურ კატალოგში წარმოვადგინოთ უფრო მარტივი, გამსხვილებული ინდექსების სახით.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის ზოგადი მეთოდოლოგია იმავე დროს გულისხმობს ცხრილებში წარმოდგენილი ძირითადი დანაყოფების, კლასების თანმიმდევრობის ცოდნას. ძირითად ცხრილებში წარმოდგენილი თითოეული ინდექსი გამოხატავს გარკვეული დარგის, მეცნიერების ამა თუ იმ სისტემას. თითოეული დარგის გამომხატველი ინდექსი შესაძლებელია გაფართოვდეს ?ათწილადობის პრინციპით, მარჯვნივ ციფრების მიწერით. ეს ძიება უნდა გაგრძელდეს ვიდრე არ მივაგნებთ საგნის ზუსტად გამომხატველ ინდექსს. ზოგადი ინდექსის მიწერა და ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ზიანს მოუტანს კლასიფიკაციის პროცესს. სისტემატიზატორმა უნდა განსაზღვროს მიღებული ინდექსის ადგილი ინდექსთა იმ რიგში, რომელიც უკვე მოცემულია სისტემატურ და ელექტრონულ კატალოგებში. მხოლოდ არსებული ინდექსების კონტექსტში, მათთან მიმართებაში გამოჩნდება მიღებული საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების სისწორე.

სისტემატური კატალოგის აგების შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება წიგნის შინაარსის მრავალმხრივი ასახვის პროცესში გამოყენებული ინდექსების განთავსებას (მიწერას) წიგნზე და აღწერილობის ბარათზე. თუ წიგნის შინაარსის გამოსახატავად გამოვიყენეთ ერთი მარტივი ინდექსი, მაგალითად 314 – დემოგრაფია, იგი დაიწერება ფანქრით წიგნის თავფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში. ეს ინდექსი გვიჩვენებს წიგნის ადგილს თაროზე და სისტემატურ კატალოგში (მე-3 განყოფილებაში). იმ შემთხვევაში, თუ სისტემატიზატორმა წიგნის შინაარსის გასახსნელად მიმართა

საგნის ასახვის სხვადასხვა ასპექტებს: გეოგრაფიული გარემო, დრო, გამოცემის ფორმა და სხვ. ამ შემთხვევაშიც ინდექსი კვლავ რჩება თავფურცელზე – 314 (479.22) „18“– დემოგრაფია მე-19 საუკუნის საქართველოში. წიგნის თავფურცლის მეორე მხარეს იწერება შედგენილი, რთული ინდექსი. ჩვენს შემთხვევაში, თუ დემოგრაფიის პრობლემა საქართველოში განხილულია სოციოლოგიასთან ერთად, ან ორივე პრობლემა განხილულია ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, მაშინ ინდექსი მიიღებს ასეთ სახეს = 314 (479.22) „18“ + 316 (479.22) „18“. ეს არის შედგენილი ინდექსი. ეს ინდექსი სრული სახით დაიწერება თავფურცლის მეორე მხარეს. ეს ნიშნავს იმას, რომ წიგნი ასახულია 314 და 316 განყოფილებებში, მითითებულია ადგილი და დრო. სისტემატიზატორს უნდა ესმოდეს, რომ წიგნი ერთ ადგილზე დევს თაროზე. იმის მიხედვით, თუ რომელია ძირითადი, პირველი ინდექსი. მომდევნო ინდექსი ნიშნავს, რომ წიგნის აღწერილობა მეორე დამატებითი ბარათის სახით ჩართულია 316-ე განყოფილებაში. წიგნის თავფურცლის მეორე მხარეს ხშირად გამომცემლები უთითებენ უაკ-ის ინდექსს. სისტემატიზატორმა ყოველ შემთხვევაში უნდა შეამოწმოს ინდექსის სისწორე. მას უფლება აქვს შეამოკლოს იგი, ან განავრცოს საკუთარი პროფილის შესაბამისად. მხედველობაში უნდა ჰქონდეს ის გარემოება, რომ არ მოკლდება ენისა და ლიტერატურის აღმნიშვნელი ინდექსები. როგორც ცნობილია ანბანური კატალოგი ნომინალური, სახელობითი კატალოგია. ანბანური კატალოგის ბარათი უნდა იძლეოდეს სრულ სურათს, თუ სად, რომელ განყოფილებაშია ასახული მოცემული დოკუმენტი. წიგნის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ინდექსი (ტოპოგრაფიული ანუ თაროს ინდექსი) დაიწერება ანბანური კატალოგის ზედა მარცხენა კუთხეში, ეს იგივე შიფრის ინდექსია, სადაც ზედა ციფრი არის ინდექსი – წიგნის შინაარსის გამომხატველი ციფრი, ხოლო დაბლა, მნიშვნელის ადგილზე საავტორო (კეტერის) ნიშანი. ანბანური კატალოგის ქვედა მარჯვენა კუთხეში, აღწერილობის ბოლოს დაიწერება საკატალოგო ინდექსი, ხოლო სრული (რთული) საკატალოგო ინდექსი დაიწერება ანბანური კატალოგის ქვედა მარჯვენა კუთხეში:

61	სვანიშვილი რომანოზ
ს 45	სპორტული მედიცინა: სახელმძღ.
	სტუდენტებისათვის.– თბ., 2008.

61:796(075.8)+612.766.1(075.8)

796(075.8)

ამ შემთხვევაში მარტივი ინდექსი 61 გვიჩვენებს წიგნის ადგილს თაროზე და სისტემატურ კატალოგში აღწერილობის ადგილს მედიცინის განყოფილებაში. ინდექსი 796 (075.8) ბარათის ქვედა მარცხენა კუთხეში გვიჩვენებს, რომ წიგნი ასევე ასახულია სისტემატური კატალოგის 796-ე განყოფილებაში. სრული, ანუ შედგენილი ინდექსი, რომელიც აქ პლუსის (+) ნიშნით არის წარმოდგენილი, გვიჩვენებს, რომ აღწერილობა ჩართულია ასევე 612-ე განყოფილებაში, მარჯვნივ დეტალური ინდექსის გამოყენებით. ასეთი სახით გაფორმებული ანბანური კატალოგის ბარათი ასრულებს ერთგვარ საინფორმაციო ფუნქციას: იგი გვიჩვენებს თუ სად, სისტემატური კატალოგის რომელ განყოფილებაშია ჩართული აღწერილობები; რა და რა საკლასიფიკაციო გადაწყვეტილება მიიღო კლასიფიკატორმა. აქ შეიძლება დაისვას ბუნებრივი კითხვა: ხშირ შემთხვევაში წიგნში განხილულია 5–6 და მეტი საკითხი, ან

კრებულია სხვადასხვა თემატიკაზე წარმოდგენილი მასალებით. კლასიფიკატორის მთავარი ამოცანაა დააზუსტოს წიგნის მთავარი, ძირითადი საგანი, რათა განსაზღვროს წიგნის ადგილი თაროზე და აღწერილობის ადგილი სისტემატური კატალოგის სტრუქტურაში. სხვა, დანარჩენი მეორადი დანიშნულების საკითხები შეუძლია შერჩევით, მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით ასახოს შესაბამისი ინდექსების გამოყენებით სისტემატურ კატალოგში. ინდექსების ზედმეტი დეტალიზაცია არ არის სასურველი, მაგრამ არც ის არის მართებული, რომ წიგნში წარმოდგენილი ესა თუ ის საკითხი, თუნდაც მას ინფორმაციული დანიშნულება ჰქონდეს დატოვოს უყურადღებოდ, მით უმეტეს, როდესაც ელექტრონული კატალოგი საშუალებას იძლევა უფრო ოპერატიულად მოხსნას ეს უხერხულობანი. აქ მთავარია არ დაზარალებს მკითხველი, მისთვის საინტერესო საკითხი არ დაგვრჩეს თაროზე, როგორც ეს დღეს ბიბლიოთეკების დიდ ნაწილში გვხვდება. სისტემატიზაციის უპირველესი ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერების თითოეული საკითხი, გლობალური ან ლოკალური დანიშნულებისა, კონკრეტული ფორმით იქნეს წარმოდგენილი კატალოგებში. აბსტრაქცია და განზოგადება კლასიფიცირების პროცესში დაუშვებელია. როდესაც არის საშუალება, რომ წიგნისა და სხვა სახის მასალის თითოეული ნაწილი, თითოეული თემა გამოიხატოს ინდექსების ენით, მას უნდა მივმართოთ. მით უმეტეს, რომ საკლასიფიკაციო ცხრილი იძლევა ასეთი დეტალიზაციის საშუალებას.

აქ შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ მრავალტომეული გამოცემების სისტემატიზაციის საკითხზე. მრავალტომეული გამოცემა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ავტორის, კოლექტიური ავტორის, ან ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული. თუ მრავალტომეული გამოცემა ერთ რომელიმე თემას, დარგს შეეხება, ცხადია ადვილია მისი კლასიფიცირება. ხშირ შემთხვევაში ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანებული მრავალტომეული გამოცემის ცალკეული ტომები თავისი შინაარსით ეხება სხვადასხვა საკითხებს. ამ შემთხვევაში, ცხადია, ყველა ტომს უნდა მიეკუთვნოს ერთიანი ინდექსი, რომელიც ყველა ტომის შინაარსს გამოხატავს, მაგრამ ცალკეული ტომების შინაარსის გახსნის დროს საჭირო იქნება შესაბამისი მსაზღვრელების გამოყენება. მაგალითად: საქართველოს ისტორიის ნარკვევების 8 ტომეული ღებულობს ინდექსს 94 (479.22), ყველა 8 ტომი დალაგდება თაროზე ერთად (სისტემატურ-ანბანური განლაგების შემთხვევაში), მაგრამ ზოგიერთ ტომში ისტორიის საკითხების გარდა განხილულია ცალკეული პერიოდების თემატიკა. თითოეული ტომის შინაარსის გახსნისათვის ვიყენებთ უაკ-ის შესაბამის ინდექსებს, ამ გამოცემის მე-5 ტომში წარმოდგენილია საკმაოდ დიდი პერიოდი – მე-19 საუკუნის 30–90-იანი წლები. ცხადია, ამ შემთხვევაში ძირითადი ინდექსის გარდა, უნდა გამოვიყენოთ დამატებითი ინდექსები ტომის შინაარსის გახსნისათვის. მაგალითად = 37 (479.22)(09)+008(479.22)(09)+338(479.22)(09), სახალხო განათლების, კულტურისა და ეკონომიკის ისტორია საქართველოში.

ასევე ინდივიდუალურ მდგომარეობას მოითხოვს ი. ჯავახიშვილის და სხვ. ქართველ მეცნიერთა და ისტორიკოსთა თხზულებების მრავალტომეული გამოცემების სისტემატიზაცია. ი. ჯავახიშვილის თხზულებათა 12 ტომეული ასახულია საქართველოს ისტორიის განყოფილებაში 94(479.22). ამ გამოცემის მე-4 ტომში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური ისტორია. სრული ინდექსი ღებულობს ასეთ სახეს 94(479.22)(09)+338(479.22)(09). ტომები განლაგებულია 94-ე განყოფილებაში, ხოლო სისტემატურ კატალოგში მე-3 განყოფილებაში დამატებითი ბარათის სახით გახსნილია მისი შინაარსი.

ასეთივე ფორმით უნდა აისახოს მე-6 ტომის შინაარსი, სადაც განხილულია ქართული სამართლის ისტორია 34(479.22)(09). ტომის სპეციფიკის გათვალისწინება აუცილებელია სისტემატიზაციის პროცესში. ტომის სპეციფიკის ნაწილში აღწერილობის შემთხვევაში სრული ინდექსი დაიწერება მისი შინაარსიდან გამომდინარე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლასიფიკაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია დოკუმენტის შინაარსის დადგენა, ძირითადი ინდექსის დადგენის შემდეგ კლასიფიკატორი მიმართავს ცხრილებში დეტალური ინდექსის ძიებას, ისეთი ნიშნის მიგნებას, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად გამოხატავს დოკუმენტის არსს. ინდექსების დეტალიზაცია წარმოებს ძირითადი ინდექსისათვის მარჯვნივ ახალი ინდექსების მიწერით. ყოველი სამნიშნა ინდექსის შემდეგ, შემდგომი ინდექსი უნდა გამოიყოს წერტილით, ეს მისაღები ფორმაა ინდექსის ადვილად აღქმისათვის – 621.395 – ტელეფონი, სატელეფონო კავშირი. ზედმეტმა დეტალიზაციამ არ უნდა გაიტაცოს ინდექსატორი. ზოგ შემთხვევაში ზოგადი ინდექსის მიწერა სრულიად საკმარისია შინაარსის გამოსახატავდ, მით უმეტეს, თუ წიგნის სათაური იძლევა ამის შესაძლებლობას: 634 – მეზღვრობა და მეზღვრობა ზოგადად; 57 – ბიოლოგიური მეცნიერებანი ზოგადად; 574 – ზოგადი ეკოლოგია და ა. შ. მაგრამ კონკრეტული საგნის, საკითხის წარმოდგენა ზოგადი ინდექსით გააძნელებს მის მიგნებას სისტემატურ კატალოგში.

ელექტრონულ კატალოგში ყოველთვის წარმოებს ძიება სხვადასხვა ასპექტით. ძიება უაკ-ის გამოყენებით მკითხველს საშუალებას აძლევს მთლიანობაში იხილოს ყველა ის გამოცემა, რომელიც ამ ინდექსითაა შეტანილი ელექტრონულ კატალოგში. მაგალითად: 61(479.22)(09) მედიცინის ისტორია საქართველოში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში წარმოდგენილია 27 ჩანაწერით; არქიტექტურა საქართველოში 36 ჩანაწერით; ქიმია, ზოგადად, ყველა სახის ქიმია: ანალიზური, ფიზიკური, ორგანული, ექსპერიმენტული და სხვ. წარმოდგენილია 1800-ზე მეტი ჩანაწერით. ამ შემთხვევაში მკითხველს საშუალება აქვს მთლიანობაში ნახოს ქიმიის შესახებ არსებული მასალები. თუ მკითხველისათვის საჭიროა არა ზოგადად ქიმია, არამედ მისი კონკრეტული ქვედარგები: ექსპერიმენტული, ანალიზური, არაორგანული და ა. შ. ამ შემთხვევაში ძიება ელექტრონულ კატალოგში წარმოებს კონკრეტული საგნობრივი რუბრიკის მიხედვით. ექსპერიმენტული ქიმია – 13 ჩანაწერი, არაორგანული ქიმია – 61 ჩანაწერი, ანალიზური ქიმია – 31 ჩანაწერი. ელექტრონულ კატალოგში სისტემატიზირებული გამოცემები იძებნება როგორც საგნობრივი რუბრიკებით, ასევე უაკ-ის ინდექსების მიხედვით. პირველ შემთხვევაში მკითხველისათვის გაადვილებულია ძიება; იგი კომპიუტერში ეძებს კონკრეტული საგნის სახელწოდებით = ოპტიკა, გეოდეზია, ნუმიზმატიკა და ა. შ. ძიება უაკ-ის ინდექსებით მოითხოვს სათანადო ცოდნას, რასაც ვერ მოვთხოვთ მკითხველს. ამ უკანასკნელისათვის უმჯობესია სისტემატური კატალოგის საშუალებით ძიება. მკითხველთა ერთი ნაწილი, განსაკუთრებით მეცნიერ-მუშაკები, გათვითცნობიერებულნი არიან სისტემატური კატალოგის სტრუქტურაში; ისინი ადვილად აგნებენ გამყოფის საშუალებით მათთვის საინტერესო დარგს, კონკრეტულ რუბრიკას.

სისტემატიზაციის პროცესი აუცილებლად გულისხმობს ინდექსების ერთგვარობის დაცვას. ეს საკითხი სისტემატიზატორისაგან მოითხოვს ერთი და იგივე საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღებას ერთი და იგივე შინაარსის მქონე დოკუმენტების მიმართ. არ შეიძლება ერთ კონკრეტულ თემაზე ერთ შემთხვევაში

მივმართოთ სრულ ინდექსს, მეორე შემთხვევაში შემოკლებულ, მარტივ ინდექსს. ეს გამოიწვევს ერთი და იგივე საკითხზე არსებული დოკუმენტების გაბნევას სხვადასხვა განყოფილებაში. თუ წიგნს ელექტროტექნიკის შესახებ ერთ შემთხვევაში დავუწერთ ოთხნიშნა ინდექსს – 621.3 და მეორე შემთხვევაში ამ წიგნის შინაარსს გამოვხატავთ ზოგადი ინდექსით – 62 – ტექნიკა, ტექნიკური მეცნიერებანი, მაშინ ინფორმაცია ამ გამოცემის შესახებ წარმოდგენილი იქნება ორი სხვადასხვა გამყოფის უკან. ელექტრონულ კატალოგში მკითხველი ეძებს არა ზოგად ტექნიკის შესახებ არსებულ მასალებს, არამედ ინფორმაციას ელექტროტექნიკის შესახებ.

ინდექსაციის ერთგვარობის დაცვისათვის აუცილებელია სისტემატიზატორმა აწარმოოს ანბანურ-საგნობრივი საძიებელი, ელექტრონული კატალოგის შემთხვევაში მიმართავენ სპეციალურად წინასწარ შემუშავებულ რუბრიკატორს, ეს იგივე რუბრიკების საძიებელია. იგი შეიძლება შედგეს როგორც ტრადიციული ფორმით, ასევე კომპიუტერული საშუალებით. საგნობრივი რუბრიკების ჩამონათვალი განლაგებულია ანბანურ რიგზე. იგი დგება საკატალოგო ბარათზე, და მოსახერხებელია გამოსაყენებლად, ახალი რუბრიკების ჩასამატებლად. ისევე, როგორც სისტემატური კატალოგის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი, რუბრიკების ნუსხაც ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება – დავიცვათ ინდექსების ერთგვარობა და ერთი და იგივე შინაარსის მქონე საბიბლიოთეკო დოკუმენტები არ აისახოს სხვადასხვა განყოფილებებში, ან წარმოვადგინოთ სხვა სახით ფორმულირებული საგნობრივი რუბრიკით. ბევრ შემთხვევაში სისტემატიზატორი მიმართავს ე. წ. სამუშაო ცხრილების შედგენის მეთოდს. ერთხელ მიღებულ საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებას აღნიშნავს საკატალოგო ბარათზე, შემდეგ მათ განალაგებს ანბანურ რიგზე და ღებულობს საგნობრივ საძიებელს. კლასიფიცირების პროცესში სისტემატიზატორი აღარ მიმართავს საკლასიფიკაციო ცხრილებს. იგი ინდექსებს ეძებს ე. წ. სამუშაო ცხრილებში; ამით იგი იადვილებს კლასიფიკაციის პროცესს და აღწევს ინდექსაციის ერთგვარობას. ასეთი საძიებლის წარმოება აუცილებელია მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც სისტემატიზაციას აწარმოებს რამოდენიმე პირი, სპეციალისტი. თუ ამ საქმეს ერთი და იგივე პიროვნება უძღვება, მაინც საჭიროა ასეთი საძიებლის შედგენა. საგნობრივი საძიებელი და რუბრიკათა ნუსხა სისტემატურად უნდა ივსებოდეს ახალი რუბრიკებით, ახალი საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების ამსახველი ბარათებით. რუბრიკათა ანბანურ-საგნობრივი საძიებელი სისტემატიზაციის აუცილებელი ნაწილია და მის მართებულ წარმოებაზე ბევრადაა დამოკიდებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების სრულყოფილი ასახვა ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში.

3. სისტემატიზაციის კერძო მეთოდთა

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის კერძო მეთოდთა აერთიანებს იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც აუცილებელია მეცნიერების ცალკეულ დარგებში გამოცემული მასალების კლასიფიცირებისათვის. როგორც ცნობილია, უნივერსალურ ათწილად კლასიფიკაციაში ამჟამად წარმოდგენილია 9 განყოფილება. თითოეული განყოფილება აერთიანებს მეცნიერების ერთ დარგში გამოცემულ წყაროებს. სისტემატიზაციის პროცესში აუცილებელია ცალკეული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინება.

ძირითად ცხრილებში ყველა ეს მეცნიერებანი წარმოდგენილია მათი სტრუქტურის, ქვედარგების, ქვეთემების სახით. თითოეული კონკრეტული საკითხი გამოსახულია შესაბამისი ინდექსით. მეცნიერების ცალკეულ დარგებში შემოსული ინფორმაციის წყაროები კლასიფიცირდება ზოგადი მეთოდით, სისტემატიზაციის ძირითადი პრინციპების დაცვით. ინდექსები გამოიყენება წიგნის შინაარსის შესაბამისად, რა თქმა უნდა, მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით. ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინას გააჩნია მისთვის ნიშანდობლივი სტრუქტურა, რომელთა გამოსახვა ინდექსების საშუალებით სისტემატიზატორისაგან მოითხოვს არა მარტო ამ კონკრეტული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებას, არამედ სისტემატიზაციის მთლიანი კონსტრუქციის მოთხოვნების ცოდნას, რათა არ დაირღვეს ბიბლიოთეკებში არსებული მასალების შინაარსის წარმოდგენა საცნობარო აპარატში მიღებული სტანდარტებითა და პრინციპებით. როგორც აღვნიშნეთ, სისტემატიზაციის პროცესში გამოიყენება ორი სახის მსაზღვრელები (დეტერმინანტები) – ზოგადი და სპეციალური. მათგან ზოგადი სახის მსაზღვრელები გამოიყენება მეცნიერების ყველა დარგში არსებული მასალების სისტემატიზაციის დროს, ხოლო სპეციალური მსაზღვრელები გამოიყენება მხოლოდ ერთი რომელიმე დარგის მასალების კლასიფიცირების პროცესში.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ უაკ-ის ცხრილებში თანმიმდევრობით და სისტემატურად აისახება ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ნიშანდობლივია ამა თუ იმ დარგისათვის. ეს ბუნებრივი პროცესია დღევანდელი ეპოქისათვის, როდესაც სწრაფად ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და პირველწყაროების გვერდით ადგილს იმკვიდრებს ინფორმაციის მატარებელი არატრადიციული ფორმები. კერძოდ, ასეთი სახეცვლილება განიცადა ბოლო დროს 0 განყოფილებაში. ამ განყოფილებაში, გარდა ზოგადი ხასიათის ცნობარებისა და ლექსიკონებისა, აისახება ინფორმაციული ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და კულტურის საკითხები, წარმოებისა და მეცნიერების მართვა (005), თანამედროვე ცივილიზაცია, ჰუმანიტარული მეცნიერებანი და ა. შ. ამავე განყოფილებაშია წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია (01) და ბიბლიოთეკათმცოდნეობა (02); სისტემატიზატორს შეუძლია ცალკე გამოყოს მასალები ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიისა და ბიბლიოთეკათმცოდნეობის შესახებ 01(479.22), 02 (479.22), როგორც თაროზე, ასევე სისტემატურ კატალოგში.

საჯარო სკოლებისა და სასოფლო ბიბლიოთეკებისათვის საინტერესოა განყოფილება 08 თავისი ქვედანაყოფებით. აქ წარმოდგენილია შერეული შინაარსის გამოცემები, კრებულები, გამოცემები ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. უფრო მარტივია კლასიფიკაციის თვალსაზრისით პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი მეცნიერების დარგების სისტემატიზაცია. ამ განყოფილებაში სისტემატიზატორს შეუძლია ფორმის მსაზღვრელების გამოყენებით (დროის, ადგილის) უფრო ზუსტად და დეტალურად წარმოადგინოს საცნობარო აპარატში ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეთიკის და ესთეტიკის შესახებ არსებული მასალები ბიბლიოთეკის პროფილის გათვალისწინებით.

უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის კონსორციუმმა ბოლო პერიოდში უფრო მეტი დეტალიზაცია შეიტანა მე-2 განყოფილებაში – რელიგია, თეოლოგია. იცავს რა რელიგიურ ნეიტრალიტეტს ბიბლიოთეკა თანასწორად, ერთნაირი პრინციპით ამუშავებს და საცნობარო აპარატში ასახავს მსოფლიოს ძირითადი რელიგიური მიმდინარეობების შესახებ არსებულ მასალებს. განყოფილებაში

ორნიშნა ინდექსითაა წარმოდგენილი მთავარი რელიგიური მიმდინარეობები და მოძღვრებანი: ინდოეთის რელიგიები, ბუდიზმი, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი და სხვ. მიმდინარეობები. ყველაზე მეტი დეტალიზაციითაა მოცემული ქრისტიანული რელიგიის ქვეგანყოფილებები. ცალკეული საკითხებისა და პრობლემების აღსანიშნავად განყოფილებაში გამოყენებულია სპეციალური მსაზღვრელები. მეცნიერებათა დიდ ჯგუფს აერთიანებს მე-3 განყოფილება. სისტემატიზატორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთი მასალების სისტემატიზაციაზე, რომლებშიც ასახულია გლობალური მსოფლიო პოლიტიკა და პოლიტოლოგიური მეცნიერებანი საქართველოში.

ეკონომიკის დარგში არსებული მასალების კლასიფიცირებისას ცალკე უნდა გამოიყოს საბაზრო ეკონომიკის შესახებ არსებული წყაროები (339.1). რა თქმა უნდა, მცირე მოცულობის ბიბლიოთეკებში ასეთი შინაარსის გამოცემები თანამედროვე ეტაპზე ნაკლებად შემოდის. სამართლისა და სახალხო განათლების სფეროში არსებული მასალები უფრო დეტალურად უნდა იქნეს ასახული ელექტრონულ და სისტემატურ კატალოგებში. ცალკე უნდა გამოიყოს ქართული სამართლის ისტორიისა და საქართველოში სახალხო განათლების ისტორიის საკითხებზე არსებული მასალები 34 (479.22) (09), 37 (479.22) (09). განყოფილებაში 37-განათლება ცალკეა გამოყოფილი ცალკეული საგნების სწავლების საკითხები ინდექსით 372.8, აღნიშნული ინდექსისათვის მარჯვნივ ცალკეული საგნების აღმნიშვნელი ინდექსის მიწერით ვლელულობთ მოცემული საგნების სწავლების დანაყოფებს, მაგალითად: 372.87 – ხელოვნების სწავლება, 372.881.1 – ენების სწავლება, 372.881 ., ქართული ენის სწავლება – 372.881.135.31, 372.893 – ისტორიის სწავლება და ა.შ. როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს საკმაოდ რთულ ინდექსთან. მართალია ცალკეული საგნების სწავლება პედაგოგიკის საგანია და 372-ე განყოფილებაში უნდა აისახოს, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, უმჯობესია ჯერ საგანი წიგნისა გამოვხატოთ ინდექსით და შემდეგ მისი დანიშნულების ფორმა – სწავლების მეთოდიკა.

უაკ-ის ცხრილებს აქვს შესაძლებლობა საგნის გადმოცემის ფორმა გამოხატოს მსაზღვრელების გამოყენებით. მასალის სისტემატიზაციისა და თაროებზე განლაგების თვალსაზრისით უმჯობესია ერთად განლაგდეს ცალკეული საგნების ამსახველი მასალები და იქვე მათი სწავლების მეთოდიკები: ეს უფრო მარტივია და ადვილად საორიენტაციო მკითხველისათვის. მაგალითად: 51 (07) – მათემატიკის სწავლების მეთოდიკა, 53 (07) – ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, 821. 353.1 (07) – ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, 78 (07) – მუსიკის სწავლების მეთოდიკა და ა.შ. უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკები ასეთ შემთხვევაში მიმართავენ დამატებითი ინდექსების გამოყენებას, ანუ უწერენ ორივე ინდექსს 372.893 + 93 (07) – ისტორიის სწავლების მეთოდიკა. მცირე მოცულობის ბიბლიოთეკებში უმჯობესია გამოიყენონ მარტივი საკლასიფიკაციო გადაწყვეტილება: 54 (07) – ქიმიის სწავლება, 2 (07) – რელიგიის სწავლება და ა. შ. განყოფილებების 332 და 342 გამოყენების შემთხვევაში კლასიფიკატორებს ვურჩევთ ყურადღება გაამახვილონ ისეთი მასალების ყოველმხრივ ასახვაზე, რომლებიც შეეხება რეგიონალურ ეკონომიკასა და ეროვნულ უმცირესობებს.

მე-5 განყოფილებაში პირველი რიგი კლასიფიკაციისა განეკუთვნება ზუსტი მეცნიერების ამსახველ ლიტერატურას: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, პალეონტოლოგია. ამ განყოფილებათა დეტალიზაცია დამოკიდებულია შემოსული მასალების რაოდენობასა და მკითხველთა ინტერესზე. მცირე მოცულობის ბიბლიოთეკებს შეუძლიათ გამოიყენონ ორნიშნა ინდექსები, თაროებზე

განლაგებისათვის უფრო ზუსტი ინდექსები ელექტრონული და სისტემატური კატალოგებისათვის.

მე-6 განყოფილება აერთიანებს გამოყენებით მეცნიერებათა სამ ჯგუფს – 61, 62, 63, მედიცინა, ტექნიკა, სოფლის მეურნეობა. 65-ე განყოფილებაში სისტემატიზატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს წარმოების მართვის, მენეჯმენტის დარგში არსებული მასალების სრულყოფილი ასახვის საკითხებს. უნივერსალური სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, საჯარო სკოლებსა და რეგიონებში მოქმედ ბიბლიოთეკებში მე-7 განყოფილებაში შემავალი დარგების ამსახველი დოკუმენტები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი: ხელოვნება, სპორტი, მუსიკა, თეატრი, სანახაობები და ა. შ. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკებში სისტემატიზატორი ღებულობს მარტივ საკლასიფიკაციო გადაწყვეტილებას. უპირატესობას ანიჭებს ქართულ ენაზე არსებული გამოცემების სრულყოფილ და დროულად ასახვას საცნობარო აპარატში.

უაკ-ის მე-8 განყოფილება აერთიანებს მეცნიერების 2 დიდ დარგს – ენათმეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურას. ამ ორი განყოფილების შეერთება გადაწყვიტა უაკ-ის კონსორციუმმა 1961 წელს. განყოფილებაში თავდაპირველად წარმოდგენილია ენების აღმნიშვნელი ინდექსები, ხოლო შემდეგ მხატვრული ლიტერატურა. თითოეულ ენას, ენათა ჯგუფს მიკუთვნებული აქვს შესაბამისი ინდექსი 81-ის შემდგომი დეტალიზაციის გზით. სისტემატიზატორს უნდა ახსოვდეს, რომ ცხრილებში წარმოდგენილი ენისა და ლიტერატურის აღმნიშვნელი ინდექსები არ შემოკლდება 821.353.1 – ქართული ლიტერატურა, ტექსტები, 821.353.1.09 – ქართული ლიტერატურის ისტორია, 821.353.1 (07) – ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდика.

მხატვრული ლიტერატურის სისტემატიზაციის პროცესში ხშირად გაურკვევლობას იწვევს ნათარგმნი მასალების ინდექსირება. ეს ემართებათ არასპეციალისტებს, დამწყებ სისტემატიზატორებს. მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებებს, რომლებიც ითარგმნება რუსულ ენაზე, ცხადია უნდა დავაწეროთ ქართული ლიტერატურის ინდექსი – 821.353.1 და არა რუსული ლიტერატურისა, ისევე როგორც ლ. ტოლსტოის ნაწარმოებთა თარგმანებს ქართულ ენაზე უნდა დავაწეროთ რუსული ლიტერატურის აღმნიშვნელი ინდექსი – 821.161.1.

ენათმეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის განყოფილებები შეადგენენ საჯარო ბიბლიოთეკების ფონდების 50–60% –ს. ამიტომ მათი სისტემატიზაცია თაროზე და სისტემატურ კატალოგში გარკვეულ მნიშვნელობას იძენს. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში სპეციალური მსახდვრელების გამოყენებით შესაძლებელია ცალკე გამოიყოს პოეზია, დრამატურგია, პროზა და ა. შ. ჟანრებად დაყოფის საკითხი დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს სისტემატიზატორმა ამ დარგში მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით. პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია თაროზე გამოიყოს დრამატული, სათავგადასავლო, დეტექტიური ჟანრის გამოცემები. მკითხველი თხოულობს არა საერთოდ ქართულ პოეზიას, არამედ კონკრეტულად რომელიმე პოეტის თხზულებებს. ცხადია, ამ შემთხვევაში იგი პირველ რიგში მიმართავს ანბანურ კატალოგს.

უაკ-ის მე-9 განყოფილებაში წარმოდგენილია გეოგრაფია, ბიოგრაფიები, ისტორია – 91, 92, 93. ინდექსით 908 – სისტემატიზატორმა საჭიროა გამოიყოს მხარეთმცოდნეობითი გამოცემები. თითოეული ბიბლიოთეკა, რომელიც გარკვეული დასახლებული ადგილის მკითხველს ემსახურება, უნდა ფლობდეს სრულ ინფორმაციას მისი მხარის ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის და ა. შ. შესახებ.

არსებული მასალებიდან – წიგნების სახით გამოცემული აისახება კატალოგებში, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები კარტოთეკებში. ისტორიის განყოფილებაში არსებული გამოცემების ინდექსაციის დროს ბიბლიოთეკარმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დროის მსაზღვრელის გამოყენების მეთოდზე. მკითხველს აინტერესებს კონკრეტული ისტორიული პერიოდი საქართველოს ისტორიიდან. მიუხედავად მასალის სიმცირისა, ვფიქრობთ, სისტემატურ კატალოგში ცალკე უნდა გამოიყოს თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა.

ელექტრონულ კატალოგში თითოეულ გამოცემას ეწერება დროის მსაზღვრელი 94 (479.22) – საქართველოს ისტორია, 94 (479.22) „11“ – საქართველოს ისტორია მე–12 საუკუნეში, 94 (479.22) „1832“ – ათას რვაას ოცდათორმეტი წლის შეთქმულება და ა. შ. კონკრეტული ისტორიული თარიღების გამოყოფა სისტემატურ კატალოგში დამოკიდებულია მასალის მოცულობასა და მკითხველთა მოთხოვნებზე. განყოფილებაში 929 – აისახება ბიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები. აქ შედის ინდივიდუალური და კოლექტიური ბიოგრაფიები, გენეალოგია, გერალდიკა, გვარიშვილობა, ემბლემები, გერბები და სხვ. სიმბოლიკები. ხოლო წმინდად ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტები ერთი რომელიმე პიროვნების შესახებ აისახება შესაბამის დარგში ფორმის მსაზღვრელის (092) –ის გამოყენებით. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის ბიოგრაფია – 94 (479.22) (092); ქართველი ქიმიკოსები – ბიოგრაფიები 54 (479.22) (092) და ა. შ.

4. საბავშვო ლიტერატურის სისტემატიზაცია

ბიბლიოთეკებში ორგანიზებული საბავშვო ლიტერატურა იყოფა ოთხი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით:

1. პირველი – მეორე კლასებისათვის განკუთვნილი გამოცემები აღინიშნება რომაული ციფრით – I ;
2. მე–3–4 კლასებისათვის განკუთვნილი წიგნები აღინიშნება II –ით;
3. მე–5–6 კლასებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა III–ით;
4. მე–7–9 კლასებისათვის განკუთვნილი მასალები ნიშნით IV .

საბავშვო ლიტერატურის ასეთი დაჯგუფება შეესაბამება პედაგოგიკაში მიღებულ საბავშვო ასაკობრივ დაყოფას. საბავშვო ასაკისათვის (6–15 წწ.) განკუთვნილი ფონდების ცალკე გამოყოფას თავისი დანიშნულება გააჩნია. მიზანი ასეთი წესით სისტემატიზაციისა არის ფონდების შინაარსის მიახლოება გარკვეული ასაკის ბავშვ მკითხველთა, მათი საბიბლიოთეკო მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოში ამჟამად მოქმედი დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები, აგრეთვე საჯარო სკოლებთან არსებული ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი და საბავშვო განყოფილებები ასეთი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განლაგებენ თაროებზე საბავშვო ლიტერატურას. ასეთი ფორმა სისტემატიზაციისა მიღებულია ბავშვთა კითხვის რეგულირებისათვის. ბიბლიოთეკაში შემოსული მოსწავლე პირდაპირ მიდის მისი ასაკისათვის განკუთვნილ თაროსთან და დამოუკიდებლად ირჩევს სასურველ წიგნს. ბიბლიოთეკარი აკვირდება ბავშვის არჩევანს, იცის რა წიგნი დააბრუნა, რომელი ჟანრითაა დაინტერესებული. სისტემატიზაციის ეს ფორმა ბიბლიოთეკარს უადვილებს წიგნების შერჩევის პროცესს, მაგრამ არ უხსნის მას პასუხისმგებლობას. მთავარია სისტემატიზატორმა სწორად განსაზღვროს წიგნის

ასაკობრივი ჯგუფი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკარი მოსწავლეს, განსაკუთრებით მე-6-7-8 კლასელებს ვერ დაავალებს იმ გამოცემების შერჩევას, რომლებიც მისი ასაკისათვის არის წინასწარ გათვლილი. აქედან გამომდინარე, ასეთი ფორმით ბავშვებისათვის განკუთვნილი გამოცემების სისტემატიზაცია უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. თუმცა, საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ეს ფორმა ნაცადია და შედეგიანიც. თითოეულ საბავშვო ასაკისათვის განკუთვნილი გამოცემების კლასიფიცირების დროს სისტემატიზატორი წინასწარ განსაზღვრავს ასაკობრივ ჯგუფს, აღნიშნავს მას რომაური ციფრით I, II, III და ა. შ. ეს ნიშანი იწერება შიფრის წინ. შემდეგ კლასიფიკატორი ინდექსის ენით გამოხატავს წიგნის შინაარსს და აწერს მას სათანადო ადგილზე. წიგნის შიფრი ასეთ ფორმას ღებულობს:

I მრევლიშვილი, მაყვალა.
მ 90 ანი-ბანი, ოქროს ბანი: ლექსები
სკოლამდელთათვის.- თბ., 1987.- 32 გვ.

შიფრში მითითებული I რომაული ციფრი მიანიშნებს, რომ წიგნი განკუთვნილია სკოლამდელთათვის. ამ ასაკისათვის განკუთვნილი გამოცემები არ კლასიფიცირდება. თაროებზე განლაგდება ანბანურ რიგზე. მომდევნო ასაკობრივი ჯგუფებისათვის განკუთვნილი გამოცემები კლასიფიცირდება. შიფრი ასეთ ფორმას ღებულობს:

821.353.1-93 მრელაშვილი, ლადო
IV მ 90 ოლოლები: მოთხრობები უფროსი
სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.-
თბ., 1982.- 327 გვ.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, აღწერილობის წინ იწერება ჯერ ასაკობრივი ჯგუფის ნიშანი და შემდეგ შიფრი. თაროს გამყოფებზედაც ასეთივე ნიშნებით გამოიყოფა საბავშვო ლიტერატურა. ის ბიბლიოთეკები, სადაც სისტემატიზაციის ამ ფორმას იყენებენ, ადვილად და ოპერატიულად ახერხებენ მოსწავლეთათვის წიგნების შერჩევას, თუმცა ყურადღების ცენტრშია ბავშვი, მისი მკითხველური ბიოგრაფიით, ინტელექტით, ინტერესებითა და მიდრეკილებებით. საბავშვო ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხები საკმაოდ არის გაშუქებული ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში (სახელმძღვანელო მასალების ჩამონათვალი იხ. ნაშრომის ბოლოს).

5. მსაზღვრელების გამოყენება სისტემატიზაციის პროცესში

1895 წელს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა პოლ ოტლესა და ანრი ლაფონტენის ინიციატივით მეღვილ დუის ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას დაუმატეს ზოგადი და სპეციალური მსაზღვრელები. მსაზღვრელების გამოყენებით მ. დუის სისტემამ შეიძინა უნივერსალური ხასიათი. მსაზღვრელების საშუალებით შესაძლებელია ცოდნის მეორეხარისხოვანი (დამატებითი) ასპექტების გამოხატვა სპეციალური ნიშნებით (დეტერმინანტებით). ამის შემდეგ უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილები წარმოგვიდგება ძირითადი და დამხმარე ცხრილების სახით. უაკ-ის ძირითადი რიგი, როგორც

აღვნიშნეთ, შეიცავს 9 დანაყოფს. თითოეული მათგანი წარმოგვიდგენს ცოდნის ამ თუ იმ დარგს. უაკ–ი ძირითადად თემატური საკლასიფიკაციო სისტემაა. მისი ძირითადი დანაყოფები გამოხატავენ წიგნისა და სხვა მასალების შინაარსს. ათწილადობის პრინციპით შესაძლებელია მეცნიერების ქვეთემების, კონკრეტული საკითხების გამოსახვა ციფრების ენით. სრული ინდექსის შემთხვევაში, საკლასიფიკაციო ნიშნების ადვილად წასაკითხად პირველი სამი ციფრის შემდეგ იწერება წერტილი, ასევე მომდევნო სამი ციფრის შემდეგ და ასე, ვიდრე არ მივიღებთ წიგნის შინაარსის განმსაზღვრელ ზუსტ ინდექსს. მაგალითად, 159.922.7 – ბავშვის ფსიქოლოგია. ამ ინდექსით ზუსტად განისაზღვრება წიგნის საგანი, მაგრამ წიგნი ამ სათაურით შეიძლება გამოცემული იქნეს როგორც ცნობარი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეთოდური მითითებებით და ა. შ. მსაზღვრელების ძირითად ფუნქციას შეადგენს დააზუსტოს წიგნში განხილული საგნის სხვადასხვა ასპექტი: დრო, ადგილი, გამოცემის ფორმა, დანიშნულება და ა. შ.

უაკ–ში გამოყენებულია შემდეგი სახის მსაზღვრელები ანუ დამხმარე ცხრილები:

1. ენის ზოგადი მსაზღვრელი, ნიშანი =
2. დოკუმენტის ფორმის მსაზღვრელი, ნიშანი (0...)
3. ადგილის (გეოგრაფიული) მსაზღვრელი, ნიშანი (1/9)
4. ხალხის, ეთნიკური ჯგუფებისა და ერების მსაზღვრელი, ნიშანი (=...)
5. დროის მსაზღვრელი, ნიშანი „ „
6. მიმართების მსაზღვრელი, ნიშანი :
7. მიმატების (პლუსის) მსაზღვრელი, ნიშანი +

კლასიფიცირების პროცესში პირველ რიგში გამოიყენება ძირითადი ინდექსები, ანუ იმ 9 განყოფილებიდან ვირჩევთ ინდექსს, რომელიც გამოხატავს წიგნის შინაარსს – 612 – ფიზიოლოგია. დააზუსტებს რა ძირითად ინდექსს, სისტემატიზატორი სწავლობს საგნის განხილვის ფორმას – ცნობარი, საგნის ისტორია, სახელმძღვანელო და ა. შ. თუ ფიზიოლოგია გამოცემულია გრიფით „უმაღლესი სასწავლებლებისათვის“, მაშინ ძირითად ინდექსს 612, მარჯვნივ უნდა მიაწეროს სახელმძღვანელოს ფორმის მსაზღვრელი (075.8). მივიღებთ წიგნის ზუსტი შინაარსისა და ფორმის გამომსახველ ინდექსს 612(075.8).

წიგნში შესაძლებელია განხილულ იქნეს რამოდენიმე საკითხი. ზოგ შემთხვევაში ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად, სხვა შემთხვევაში ერთი საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს მეორე საკითხის თვალსაზრისით. ასეთი ასპექტის დადგენა აუცილებელია სისტემატიზაციის პროცესში, რათა წიგნისა და სხვა სახის მასალების შინაარსი ზუსტად აისახოს ელექტრონულ და სისტემატურ კატალოგებში. მაგალითად, „პლაზმური ფიზიკა“ და „აკუსტიკა“. როგორც ვხედავთ, წიგნში ფიზიკის ეს ორი ქვედარგი განხილულია ერთიმეორისგან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში სისტემატიზატორი ორივე საგნის გამომხატველ ინდექსს ერთიმეორესთან აკავშირებს მიმატების (+)ნიშნის გამოყენებით 533 + 534. ამ ფორმით გამოიხატება წიგნის შინაარსი ელექტრონულ კატალოგში, ხოლო სისტემატურ კატალოგში ეს ე. წ. რთული ინდექსის საშუალებით შინაარსის გახსნისათვის დაგვჭირდება 2 ბარათი, ერთი 533 განყოფილებისათვის, მეორე 534 განყოფილებისათვის. ორივე ინდექსი ერთად დაიწერება ანბანური კატალოგის ქვედა მარჯვენა კუთხეში. წიგნის შინაარსის სრულყოფილი და მრავალასპექტიანი განხილვისათვის ზოგ შემთხვევაში საჭიროა ერთი ან რამდენიმე ინდექსისა და იმავდროულად მსაზღვრელების გამოყენებაც. მაგალითად: „მხარეთმცოდნეობისა

და გეოგრაფიის საკითხების კვლევა მე-19 საუკუნის საქართველოში“. ამ სათაურით წიგნის შინაარსი რომ სრულყოფილად გამოვხატოთ, საჭირო იქნება შემდეგი ინდექსების გამოყენება 908 + 91 (479.22) „18“. ამ შემთხვევაში გამოვიყენებთ მიმატების + , გეოგრაფიული (479.22) და დროის მსაზღვრელს „18“. სისტემატურ კატალოგში ეს წიგნი უნდა აისახოს განყოფილებებში 908 (479.22) „18“ და 91 (479.22) „18“.

სისტემატიზაციის პროცესში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ინდექსების შემდეგ დამხმარე ცხრილების, მსაზღვრელების გამოყენების თანმიმდევრობას. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება მიმატების +, მიმართების :, ადგილის (1/9), დროის „ „ და ფორმის მსაზღვრელები (0 ...). ენის მსაზღვრელი პირველ რიგში აზუსტებს წიგნში განხილული საგნის ენას. ეს აუცილებელია საკატალოგო აღწერის შემთხვევაში. წიგნი აღიწერება იმ ენაზე, რომელ ენაზეც ტექსტია წარმოდგენილი. ხოლო საგანი, რომელიც მასშია განხილული, გამოიხატება არაბული ციფრით. არა აქვს მნიშვნელობა რომელ ენაზეა გამოცემული წიგნი. გეოდეზიის საგანი გამოიხატება ინდექსით 528. უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორი თანმიმდევრობით გამოვიყენებთ დამატებით ცხრილებს წიგნში განხილული საგნის ყოველმხრივი ასახვისათვის. სისტემატიზატორი პირველ რიგში აზუსტებს ძირითადი რიგის ინდექსს, ანუ ირჩევს საკლასიფიკაციო ცხრილებიდან იმ კოდს, რომელიც ზუსტად გამოსახავს წიგნის არსს. „საქართველოს ისტორია მე-19 საუკუნეში, დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის“ საქართველოს ისტორიას ასახავს განყოფილებაში 94 – ისტორია და მარჯვნივ გეოგრაფიული მსაზღვრელის მიწერით (479.22). შემდეგ იყენებს დროის მსაზღვრელს „18“ – მე-19 საუკუნე და ბოლოს ფორმის მსაზღვრელი (075.8) სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

თუ დავაკვირდებით მსაზღვრელების გამოყენების თანმიმდევრობას შეიძლება დავასკვნათ, რომ კლასიფიკატორმა ჯერ უნდა დააზუსტოს წიგნის საგანი „ისტორია“ – 94, შემდეგ გეოგრაფიული ადგილი „საქართველო“ (479.22), შემდეგ საგნის განხილვის დრო „18“, მე-19 საუკუნე და ბოლოს წიგნში განხილული საგნის ფორმა, სახელმძღვანელო (075.8). ორი ან მეტი დეტერმინანტის გამოყენების შემთხვევაში სისტემატიზატორი იცავს შემდეგ თანმიმდევრობას:

მიმატების მსაზღვრელი – +?
მიმართების მსაზღვრელი – :?
ადგილის მსაზღვრელი – (1 ...)
დროის მსაზღვრელი – „ „
ფორმის მსაზღვრელი – (0 ...)

მსაზღვრელების ასეთი თანმიმდევრობა წიგნის კლასიფიკაციისას რეკომენდებულია სპეციალისტებისა და უაკ-ის კონსორციუმის მიერ. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოცემულ ბიბლიოთეკაში მისი პროფილისა და მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით არ შეიძლება ასეთი თანმიმდევრობის დარღვევა. ზოგმა ბიბლიოთეკამ შეიძლება წინ წამოსწიოს ფორმის მსაზღვრელი, გეოგრაფიული (ადგილის) და ა. შ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ფონდების სისტემატიზაციისათვის, წინ წამოწეულია საქართველოს გეოგრაფიული მსაზღვრელი (479.22), რის შემდეგ იწერება წიგნის შინაარსის გამომხატველი ინდექსი: (479.22) 7 (09) – ქართული ხელოვნების ისტორია. ქართველოლოგიური ლიტერატურისათვის ასეთი საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების მიღება

განპირობებულია საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსითა და დანიშნულებით. განყოფილების ფონდში წარმოდგენილია საქართველოს შესახებ გამოცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტები. მსაზღვრელების თანმიმდევრობის დაცვა განპირობებულია წიგნის შინაარსით. სისტემატიზატორი პირველ რიგში მიმართავს იმ მსაზღვრელს, რომელიც ზედმიწევნით აზუსტებს წიგნის შინაარსს, საგნის მიმართებას სხვა საგნებთან, შემდეგ საგნის განხილვის გეოგრაფიულ ადგილს, შემდეგ გადმოცემული მასალის პერიოდს, დროს და ბოლოს საგნის განხილვის ფორმას. თითოეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტში ავტორი საგანს განიხილავს სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან მიმართებაში, იკვლევს განსახილველი საგნის მდგომარეობას დროსა და სივრცეში. შემდეგ ამ მასალას აძლევს გარკვეულ სტრუქტურას, რომელიც განსაზღვრულია წინასწარ; – ვისთვისაა გამიზნული ნაშრომი, როგორი ფორმითაა მასში დალაგებული მისი ცალკეული ნაწილები და ა. შ.

ინდექსირების პროცესში სისტემატიზატორის მთავარ ამოცანას შეადგენს დააზუსტოს განხილული საგნის მთავარი ასპექტი. თითოეული დოკუმენტი ძირითად ინდექსს ღებულობს მისი საკუთარი შინაარსის მიხედვით. დამხმარე ცხრილები წარმოგვიდგება როგორც მეორადი საშუალება, მაგრამ აუცილებელი ელემენტი კლასიფიკაციის პროცესში. თანამედროვე მკითხველის მოთხოვნა მეტად კონკრეტულია, მას არ სურს ამა თუ იმ საკითხის შესახებ მასალის ძიება მეცნიერების რთულ სტრუქტურაში. მას აინტერესებს ნიშანდობლივ ესა თუ ის საკითხი მოცემულ გარემოში, დროში, ასპექტში. აქედან გამომდინარე სისტემატიზაციის ძირითადი საგნის ასახვის სიზუსტე, ძირითადი არსის წარმოდგენა კონკრეტული საკლასიფიკაციო ნიშნით. ინდექსაციაში ერთგვარობის დაცვა სისტემატიზაციის ერთ–ერთი ძირითადი პრინციპთაგანია. ამ პრინციპის დაცვითაა მხოლოდ შესაძლებელი ოპერატიული, სრულყოფილი და ზუსტი ძიების ჩატარება ელექტრონულ და სისტემატურ კატალოგში.

უაკ–ის ცხრილების ერთ–ერთი დადებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ასახოს საგნის ზოგადი და კონკრეტული ასპექტები ერთდროულად. სისტემატიზატორი უპირველესად ირჩევს კონკრეტულს, არსებითს, რათა პირდაპირ უპასუხოს მკითხველის საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მოთხოვნას. მაგალითად: ?განყოფილება 82 – 93 – საყმაწვილო და საბავშვო ლიტერატურა უფრო ზოგადი ინდექსია. საბავშვო ლიტერატურა საერთო მხატვრული ლიტერატურისაგან გამოყოფილია სპეციალური მსაზღვრელით –93. აქ არ არის ლაპარაკი ერთ რომელიმე ენაზე გამოქვეყნებულ საბავშვო ნაწარმოებზე. ასეთი ინდექსი შეიძლება მივაკუთვნოთ მსოფლიოს რამოდენიმე ენაზე გამოქვეყნებულ საბავშვო ნაწარმოებების კრებულს. თუ წიგნში წარმოდგენილია ქართული საბავშვო ლიტერატურის ტექსტები, სისტემატიზატორმა ჯერ უნდა გამოიყენოს ქართული ლიტერატურის ინდექსი 821.353.1 და შემდეგ სპეციალური მსაზღვრელით გამოყოს საბავშვო ლიტერატურა 821.353.1–93 – ქართული საბავშვო ლიტერატურა. როგორც ნაშრომის სპეციალურ პროგრამაში აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში ჯერ განისაზღვრება ბავშვის ასაკი, რომელი ასაკობრივი ჯგუფისათვისაა განკუთვნილი კრებული და შიფრის წინ რომაული ციფრით აღინიშნება შესაბამისი ჯგუფი. ე. ი. ზოგადიდან მივდივართ კონკრეტულისაკენ – ეს არის უაკ–ში ძიების ერთ–ერთი პრინციპთაგანი. ცხრილების იერარქიული დაყოფა ამ პრინციპით არის წარმოდგენილი. საბიბლიოთეკო დოკუმენტები ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ზოგადი საკითხების შესახებ, ფილოლოგიური მეცნიერებანი ცხრილებში აღინიშნება ზოგადი ინდექსით –80 – შემდეგ, მეორე ქვედაყოფით –81 ლინგვისტიკა,

ენათმეცნიერება, ცალკეული ენები. 811–ის შემდგომი დანაწევრებით ცხრილებში აღინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ენები სამიდან შვიდნიშნა ინდექსებით გამოხატული. –811.353.1. – ქართული ენა. მე–8 განყოფილება აერთიანებს ორ დიდ დარგს – ენათმეცნიერება და მხატვრული ლიტერატურა.

ლექსიკონების კლასიფიკაცია. ბიბლიოთეკებში ლექსიკონები წარმოდგენილია რამდენიმე სახის: ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური, თარგმნითი, განმარტებითი და სხვ. ერთ ცალკე აღებული ენის ლექსიკონები აისახება ამ ქვეყნის ენის აღმნიშვნელი ინდექსით 811.353.1 ქართული ენა; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – $81'374.2(038)=353.1$. იგივე ინდექსი მიეკუთვნება ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონს. ქართულ–რუსული ლექსიკონი წარმოდგენილია მსგავსი ინდექსით $81'374.822=353.1=161.1$. აქედან პირველი მარცხენა ინდექსი ნიშნავს ორენოვან ლექსიკონს, მომდევნო ინდექსი – 353.1 – ქართული ენა, იმ განსხვავებით, რომ აღარ არის განმეორებული ძირითადი ინდექსის მარცხენა სამნიშნა ინდექსი – 811. ასევე აღნიშნული რუსული ენის ინდექსიც – 161.1 – მისი სრულყოფილი სახეა – 811.161.1. როგორც ვხედავთ, აქ ჯერ აღებულია ენების რაოდენობის მაჩვენებელი ინდექსი $81'374.822$ – ორენოვანი ლექსიკონები, შემდეგ ორივე ენა – ქართული და რუსული ერთიმეორესთან დაკავშირებულია ტოლობის ნიშნით. შეიძლება მიგვეღო მარტივი გადაწყვეტილება = ორივე ენის აღმნიშვნელი ძირითადი ინდექსები დაგვეკავშირებინა ერთიმეორესთან ტოლობის ნიშნით: $811.161.1=353.1$ რუსულ–ქართული ლექსიკონი. ეს შედგენილი ინდექსი ისედაც ნიშნავს, რომ წიგნი ორენოვანია. ლექსიკონებს ელექტრონულ კატალოგში მკითხველი ეძებს სახელწოდებათა მიხედვით, ისინი ბაზაში წარმოდგენილია სათაურებზე, ძირითადად; საავტორო გაფორმების შემთხვევაში ინდექსები ერთი და იგივეა. სათაურზე აღწერილ დოკუმენტებს ასევე ერთად უყრის თავს ანბანური კატალოგიც. დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონები აღნიშნულია ფორმის მსაზღვრელით (038); ბოტანიკური ტერმინების ლექსიკონი 58 (038); სამედიცინო ტერმინების ლექსიკონი 61 (038) და ა. შ. მცირე მოცულობის ბიბლიოთეკებში (სასკოლო, სარაიონო (ცენტრალური), სასოფლო და სხვ.) ლექსიკონები შეუძლიათ თაროებზე განალაგონ განყოფილებაში 801.3? გარდა ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა ზოგადი ხასიათის ენციკლოპედიები აისახება განყოფილებაში – 031 – (ქსე, БСЭ და სხვ.).

უაკ–ის ცხრილები ამ განყოფილებაში ისეთი ფორმითაა აგებული, რომ ენების აღმნიშვნელი ინდექსების შიგნით, ძირითადი დანაყოფის მარჯვნივ ორიანის (2) ჩამატებით ვღებულობთ შესაბამისი ქვეყნის მხატვრული ლიტერატურის ინდექსს. მაგალითად: 811.131.1 – იტალიური ენა; 821.131.1 – იტალიური ლიტერატურა; 811.353.1 – ქართული ენა; 821.353.1 – ქართული ლიტერატურა. განყოფილებაში 82 – წარმოდგენილია ლიტერატურა, ლიტერატურათმცოდნეობა.

სპეციალური მსაზღვრელები

ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულმა ინსტიტუტმა ზოგადი მსაზღვრელების გარდა შეიმუშავა ე. წ. სპეციალური მსაზღვრელები. ისინი გამოიყენება ანალოგიური ცნებების აღსანიშნავად, ერთსა და იმავე განყოფილებაში. სპეციალური მსაზღვრელები განიხილება როგორც დამატებითი ცხრილები მხოლოდ ძირითადი ინდექსების შემდეგ. სპეციალურ მსაზღვრელებს შეიძლება ერთნაირი

დაბოლოება ჰქონდეთ, მაგრამ ისინი სხვადასხვა განყოფილებებში სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებიან. თანამედროვე ეტაპზე სისტემატიზაციის პრაქტიკაში გამოიყენება სპეციალური მსაზღვრელები შემდეგი ნიშნებით:

– 1 / – 9 სპეციალური მსაზღვრელი დეფისით;

. 01 / . 09 მსაზღვრელი წერტილით და ნულით;

' 1 / ' 9 მსაზღვრელი აპოსტროფით

თითოეულ სპეციალურ მსაზღვრელს შეუძლია დააზუსტოს მოცემულ დარგში ძირითადი ინდექსით გამოსახული შინაარსი მისი განხილვის ასპექტების მიხედვით. სპეციალური მსაზღვრელი დეფისით (–) ძირითადად გამოიყენება მე–2, მე–6 და მე–8 განყოფილებებში. იმის გამო, რომ რელიგიური შინაარსის დოკუმენტების კლასიფიკაციისას იხმარება მსგავსი ცნებები და მეთოდები, მაგალითად თეოლოგიური საფუძვლები, წმინდანები, იერარქიული სტრუქტურები და ა. შ. 2000 წლიდან ასეთი ცნებების აღსანიშნავად შემოღებულია ერთიანი (ფასეტური) მსაზღვრელები, რომლებიც აგებულია ერთსა და იმავე პრინციპზე ყველა რელიგიური მიმდინარეობისათვის.

მე–2 განყოფილებაში ძირითადი რელიგიური მიმდინარეობები აღნიშნულია ორნიშნა ინდექსებით: 23 ინდოეთის რელიგიები; 24 ბუდიზმი; 26 იუდაიზმი; 27 ქრისტიანობა; 28 ისლამი და ა. შ. ამ განყოფილებაში სპეციალური მსაზღვრელით დეტალიზებულია ყველაზე მეტად ქრისტიანული რელიგია. 27–23 ბიბლია, 27–24 ძველი აღთქმა, 27–29 ქრისტიანული დოგმატიკა, 27–31 იესო ქრისტე და ა. შ. 28–24 ყურანი და სხვ. სისტემატიზატორს საშუალება აქვს ზედმიწევნით დეტალურად წარმოადგინოს ქრისტიანული მოძღვრების ამსახველი მასალები.

დეფისის გამოყენებით სპეციალური მსაზღვრელი მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება ლიტერატურული ჟანრების აღსანიშნავად. მაგალითად: 82–1 პოეზია, 82–2 დრამატურგია, სცენარები, 82–3 მხატვრული პროზა, 821.353.1–1 ქართული პოეზია, 821.353.1–3 ქართული მხატვრული პროზა და ა.შ., 82–93 საბავშვო ლიტერატურა, 82–09 ლიტერატურული კრიტიკა, 821.353.1.09 ქართული ლიტერატურის კრიტიკა. ინდექსი 82–93–ით აღინიშნება მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე არსებული საბავშვო ლიტერატურის კრებულები, აღმანახები და ა. შ. საქართველოში ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი საერთოდ არ გამოიყენებს სპეციალურ მსაზღვრელებს გარდა მე–2 განყოფილებისა, სადაც რელიგია და ათეიზმი დეტალიზებული ფორმით წარმოდგენილია სწორედ სპეციალური მსაზღვრელების გამოყენებით. სპეციალურ მსაზღვრელებს უპირატესად მიმართავენ დიდი სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკები, სადაც გარკვეულ დონეზეა გადაწყვეტილი საბიბლიოთეკო დოკუმენტების მრავალმხრივი ასახვა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. მხატვრულ ლიტერატურაში სპეციალური მსაზღვრელების გამოყენებით შესაძლებელია თაროებზე ცალკე გამოიყოს ნაწარმოებები მათი ჟანრების მიხედვით: რომანები, სათავგადასავლო ლიტერატურა, ლექსები, დრამატული ნაწარმოებები და ა. შ. ამ მეთოდს ძირითადად მიმართავენ საჯარო ბიბლიოთეკები და დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია ბიბლიოთეკებში მიმდინარე სხვა პროცესებისაგან განსხვავებით იმით არის ნიშანდობლივი, რომ ეს პროცესი უფრო მეტად საჭიროებს სისტემატიზატორისაგან ზოგად განათლებას, მეცნიერების ცალკეულ დარგებში ელემენტარულ გათვითცნობიერებას, გადაწყვეტილების მიღებისა და მკითხველთა საინფორმაციო მოთხოვნების გათვალისწინების უნარს.

სისტემატიზაცია, ანუ კლასიფიკაცია უფრო ტრადიციული გაგებით არ უნდა წარმოვიდგინოთ ძნელად აღსაქმელ და წმინდა აკადემიური ხასიათის საბიბლიოთეკო პროცესად. შეიძლება ამ პროცესის წარმართვა გარკვეული დროის პრაქტიკული მუშაობის შემდეგ. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში კვლავ მიმდინარეობს ბიბლიოთეკების შეერთება, გამსხვილება, ლიკვიდაცია. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ერთობლივი გადაადგილება ან შერწყმა სხვა ბიბლიოთეკებთან უნდა განხორციელდეს გარკვეული წესების დაცვით. როგორც ცნობილია, მთლიანად საბიბლიოთეკო ფონდების დაშლა, დანაწევრება ადვილი საქმეა. ბიბლიოთეკის, როგორც ორგანიზებული ცოდნის აწყობა ერთობ რთულია. ფონდების გადაადგილება სისტემატიზაციის თვალსაზრისით იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში არსებული სქემა ფონდების განლაგებისა ძირითადად არ დაირღვევა, ცალკეული პარტიების შეკვრა უნდა იკავებდეს თაროებზე მისთვის განკუთვნილ ადგილს. თითოეული განყოფილება უნდა შეიკრას გარკვეული თანმიმდევრობით, ისინი უნდა დაინომროს და ხელახალი აწყობის დროს ასეთი ფორმით გადატანილი ფონდი უფრო ადვილად იქნება ასაწყობი. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ხშირად შეხვედებით ერთი ბიბლიოთეკის ფონდების გადატანის შემთხვევებს ყოველგვარი წესრიგისა და მიმდევრობის დაცვის გარეშე. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს საბიბლიოთეკო დოკუმენტების უწყესრიგო გროვასთან, საიდანაც ბიბლიოთეკის ხელახალი აწყობა მოითხოვს დროს, ენერგიას, ცოდნას. იმ შემთხვევაში, თუ მაინც საქმე გვაქვს ე. წ. „გროვასთან“ საჭიროა სისტემატიზაცია დავიწყოთ შემდეგი პროცესების თანმიმდევრობით. თავდაპირველად ერთიმეორეში არეული საბიბლიოთეკო დოკუმენტებიდან დავიწყოთ ამ დოკუმენტების ცალკე გამოყოფა მათი გამოცემის სახეების მიხედვით: წიგნები დავალაგოთ ცალკე, ჟურნალები ცალკე, გაზეთები ცალკე, სხვა დანარჩენი სახეები თუ არის ისინიც ცალკე. შემდეგ თითოეული ეს სახეები დავაჯგუფოთ გამოცემის ენების მიხედვით – ქართული ცალკე, უცხოური ცალკე (მაგრამ კონკრეტული ენების მიხედვით). ამის შემდეგ, საჭიროა წიგნები გამოვყოთ ცალკე და ისინი დავაჯგუფოთ ენების მიხედვით. ამის შემდეგ მივდევთ სისტემატიზაციის შემდეგ საფეხურებს = ქართულ ენაზე გამოყოფილი წიგნები დაიყოფა მეცნიერების დარგების მიხედვით და მივიღებთ ქართული წიგნების დაყოფას უაკ-ის ცხრილების მიხედვით. მომდევნო ეტაპი არის თითოეულ განყოფილებაში დაჯგუფებული წიგნების განლაგება ანბანურ რიგზე და განთავსება თაროზე მარცხნიდან მარჯვნივ. ჩვენ მივიღებთ სისტემატურ-ანბანურ წყობას, ფორმას, რომელსაც მიმართავენ საჯარო და სასწავლო ბიბლიოთეკები. პერიოდულ გამოცემებს ვალაგებთ ქრონოლოგიურ-ანბანური წესით და ა. შ. ამ პროცესში როგორც ვხედავთ, ზოგადიდან მივედით კონკრეტულ ფორმამდე. თითოეულმა საბიბლიოთეკო დოკუმენტმა დაიკავა თავისი ადგილი. სისტემატიზაცია თავისთავად გულისხმობს ფონდების განლაგებას თაროებზე და მათი შინაარსის ასახვას სისტემატურ და ელექტრონულ კატალოგებში. საკლასიფიკაციო გადაწყვეტილების სისწორე ამ ორი მიმართულებით მოწმდება. ორივე შემთხვევაში მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიბლიოთეკის პროფილი, მისი მისია და ამოცანები. სისტემატიზაციის აკადემიური ხასიათი მკითხველებთან მუშაობაში იხვეწება და სრულყოფილი ხდება. ბიბლიოთეკარს, სისტემატიზატორს შეუძლია მიიღოს არასტანდარტული გადაწყვეტილება, თუნდაც სისტემატიზაციის პრინციპის დარღვევის ტოლფასი, თუ იგი გამართლებული იქნება მკითხველთა საინფორმაციო და საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოთეკების კატალოგების ორგანიზაცია: ნაწ.1: რეალური კატალოგები.– თბ., 1961;
2. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია: შემოკლებული ცხრილები / საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია .– თბ., 2009;
3. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ცხრილები: მასობრივი, საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის .– თბ., 1998;
4. ჯინჭარაძე გ. ფონდების ორგანიზაცია ბავშვთა შორის მომუშავე ბიბლიოთეკებში // საქართველოს ბიბლიოთეკა .– 2001.– № 2 .– 2006 .– № 3.
5. Учебное пособие по УДК / ВИНТИ, РАИЮ.- М., 2009.

შინაარსი

წინასიტყვაობა

1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის არსი და პრინციპები
2. კლასიფიკაციის ზოგადი მეთოდика
3. სისტემატიზაციის კერძო მეთოდика
4. საბავშვო ლიტერატურის სისტემატიზაცია
5. მსაზღვრელების გამოყენება სისტემატიზაციის პროცესში